# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 მარტი 2005 №52 (2375) ფასი 50 თეთრი




**შესარჩევი პოპ ფასები**

ინტერვიუ გალერი ჩოლარიასთან

3



**ძირს იუვენტუსი**

ფრანჩესკო ტოტიმ ტურინელების წინააღმდეგ გაილაშქრა

9



**ათდღელამიანი მატჩის შედეგი: 2254 შაიბა აქეთ, 2203 შაიბა იქით**

14

# ალბანეთი დასაჯეს! არწივები ბუდეში არ დაიშვებიან

## ტირანაში საქართველოს წინააღმდეგ ვერ უქომაგებენ

ალბანეთის ნაკრები 4 ივნისს საქართველოს უმაყურებლო სტადიონზე უმასპინძლებს. ასეთია ფიფას გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართველთა ნაკრების ლამის განუყრელ თანაჯგუფელებს 3 სექტემბერს ყაზახეთთანაც უმაყურებლო ფეხბურთი ელით. ალბანელებთან ერთად დასაჯეს კოსტა რიკაც, მაგრამ ეს ამ წუთას ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

დასჯის მიზეზი კი 9 თებერვალს, ალბანეთისა და უკრაინის შეხვედრის დროს ტირანის „ქემალ სტაფაზე" დატრიალებული ამბები გახლავთ. კერძოდ, ტირანაში შეკრებილმა ქომაგებმა მოედანზე მინერალური წყლის ბოთლები, სანთებელები, ხურდა და დროშის ტარები ისროლეს. მათი გაცხარება უკრაინელთა წარმატებით (2:0) იყო გამოწვეული.

ფიფამ ალბანეთის ნაკრები 40 ათასი შვეიცარიული ფრანკითაც დააჯარიმა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ალბანელთა მხრივ ეს მეორე ხულიგნობა გახლდათ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში. გასულ ოქტომბერს ქომაგთა ასეთივე საქციელის გამო ფიფამ ისინი 14 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.

და კიდევ ერთი სიახლე არწივეთიდან: ფეხბურთს თავი დაანება ამ ფოტოზე ალბეჭდილმა ვეტერანმა მეკარემ ფოტო სტრაკოშამ, რომელიც უახლოეს ხანს ორმოცი წლისა ხდება. ალბანური პრესის ცნობით, საქართველოს ნაკრების ფორვარდთა „კარგი ნაცნობი" ქვეყნის მმართველი სოციალისტური პარტიის სახელით პარლამენტში იყრის კენჭს.



# ბაიარენამ ლივერპული ახარა

## დელე ალპი ბაიარენა რეალისთვის



REUTERS

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები


REUTERS

ლევერკუზენი. „ბაიარენა". 22 500 მაყურებელი

## ლევერკუზენი 1:3 ლივერპული (1:3)

0:1, 0:2 გარსია (28, 32), 0:3 ბაროში (67), 1:3 კრჟინოვეკი (88)

ბუტი, კალსენ-ბრაკერი, რამელო (კასტრო 70), პლასენტე, ბაბიჩი, შნაიდერი, ბიროფკა, დონოვანი (ფრიცი 53), კრჟინოვეკი, ბერბატოვი (ვორონინი 31), ფრანცა
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

დუდეკი, ფინანი (ნუნიესი 75), ჰიიპია, კარაგერი (ველში 70), ტორნოკი, გარსია, ჯერარდი, ჰამანი (შმიცერი 59), რიისე, ბისკანი, ბაროში
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ბიროფკა (44)
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

**„ლივერპულმა"** დიდებულად გაიმარჯვა ლევერკუზენში — 3:1. „ბაიარენაზე" შეკრებილი მაყურებელი ამას არ ელოდა, რადგან თუ იმავე მატჩისწინა ინტერვიუებით ვიმსჯელებთ, „ბაიერი" ორი კვირის წინანდელი 1:3-ის გამოსასწორებლად ემზადებოდა, მაგრამ ვერ შეძლო.

თამაშის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარ საათში ლუის გარსიას ორი გოლით წითლები უკვე 2:0-ს იგებდნენ. პირველ ეპიზოდში ესპანელს ასისტენტობა სტივენ ჯერარდმა გაუწია, ხოლო მეორეში იგორ ბისკანმა.

მეორე ტაიმი ლევერკუზენელებმა დიდი მიწოლით დაიწყეს, მაგრამ მილან ბაროშმა მესამე რომ გაუტანა, აშკარა გახდა, რომ მათ მეოთხედფინალში გასვლას ახდომა არ ეწერა.

ტურინი. „დელე ალპი". 58 956 მაყურებელი

## იუვენტუსი 1:0(2:0დ.დ) რეალი (0:1)

1:0 ტრეზეგე (75), 2:0 ზალაიეტა (116)

ბუფონი, პესოტო (ტაკინარდი 66), ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ზალაიეტა (ოლივერა 119) დელ პიერო (ტრეზეგე 57), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

კასილიასი, რაულ ბრავო, ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი (სოლარი 77), გრავესენი, ზიდანი (გუტი 74), რაული (ოუენი 96), რონალდო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

გაფრთხილება: სოლარი (106), ტაკინარდი (109), ემერსონი (114) ძამბროტა (120)
გაძევება: ტაკინარდი (113), რონალდო (113)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

**მარსელო** სალაიეტამ „იუვეში" დიდი ვარსკვლავის სახელი მართალია ვერ დაიგდო, მაგრამ კარგად თუ გავიხსენებთ, უკვე ბევრი გადამწყვეტი გოლი დაუგროვდა გატანილი. ასე მოხდა წუხელაც, „სტადიო დელე ალპიზე", სადაც „იუვენტუსისა" და „რეალის" შეხვედრის დამატებითი დროის მიწურულს სამხრეთ ამერიკელმა მადრიდელების კარს დაუმიზნა.

მანამდე, იმავე დამატებით დროში, ხსენებულ გოლამდე წუთებით ადრე ურთიერთხულიგნობისთვის მსაჯმა მარკუს მერკმა მოედნიდან რონალდო და ალესიო ტაკინარდი გააძევა.

ორი მატჩის ჯამური ანგარიში (მადრიდში „რეალს" 1:0 ჰქონდა მოგებული) ძირითადი დროის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე დავიდ ტრეზეგემ აკრობატული დარტყმით გაათანაბრა.

ლონდონი. „ჰაიბერი". 35 463 მაყურებელი

## არსენალი 1:0 ბაიერნი (1:3)

1:0 ანრი (66)

ლემანი, ლორენი, სენდეროსი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი (ვან პერსი 80), რეიესი (პირესი 63), ვიეირა, ფლამინი (ფაბრეგასი 63), ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი (ჰარგრივსი 90), დაისლერი (ზე რობერტო 73), ლიზარაზუ, დემიკელისი, ბალაკი, გერერო (ლინკე 85), პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ბერხკამპი (20), დემიკელისი (21), სალიჰამიჯიჩი (58), ტურე (66), ბალაკი (68), ლიზარაზუ (83), ფაბრეგასი (90)
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

**„ბაიერნი"** მეოთხედფინალშია, არადა „არსენალმა" მშობლიურ „ჰაიბერიზე" ყველა ღონე იხმარა, რათა სასურველი ანგარიშით დაემარცხებინა.

ორი შეხვედრის ჯამში ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელმა 3:2 მოიგო, თუმცა ლონდონური მატჩის მიწურულს გვარიანი ნერვიულობა გადახდა, რადგან 66-ე წუთზე მის კარში ტიერი ანრიმ გოლი გაიტანა. ეს ასე მოხდა: ფრანგმა ფორვარდმა გრძელი პასი დაამუშავა და ბუნდესლიგის ლიდერს ბურთი ბადეში შეუგდო, რასაც, როგორც მოგახსენეთ ემოციური გაგრძელება მოჰყვა.

ცნობისთვის: „არსენალი" ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალს არასდროს გაცდენია და ახლაც იგივე განმეორდა.

მონტე კარლო. „ლუი მეორე". 18 000 მაყურებელი

## მონაკო 0:2 პსვ ეინდჰოვენი (0:1)

0:1 ვენეგოორი ოფ ჰესელინკი (27), 0:2 ბესლი (69)

რომა, მაიკონი, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, კალონი, პლასილი (ადებაიორი 61), სავიოლა (ნონდა 72), ჩევანტონი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბესლი 67), ფარფანი (რობერტი 78)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ვან ბომენი (31), ი. ლი (44), ზიკოსი (65), მაიკონი (81), პარკი (81) ჩევანტონი (85)
გაძევება: გივე (76)
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

**„ეინდჰოვენი"** ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მონაკოში შთამბეჭდავი გამარჯვებით გავიდა. ორი შეხვედრის ჯამში კი ანგარიში 3:0 დადგა ჰოლანდიელთა სასარგებლოდ.

არადა, უნდა ითქვას, რომ გასული წლის გათამაშების ფინალისტი, „მონაკო", თავიდან საკმაოდ ყინჩად იყო და გვარიანად ცდილობდა სტუმრების წნეხის ქვეშ მოქცევას, მაგრამ ჰესელინკის გოლმა საგრაფოელთა შემართება ჩაფუშა, რადგან მათ ამ მომენტის მერე უკვე სამი გოლის გატანა სჭირდებოდათ.

მეორე გოლი მასპინძლებს შეცვლაზე შესულმა ამერიკელმა დამარკუს ბესლიმ გაუტანა, ხოლო შეხვედრის მთავარ მომენტთაგან დამაგვირგვინებელი მცველის, გაელ გივეს გაძევება გახლდათ — მან ჰოლანდიური გუნდის პერუელ თავდამსხმელზე ჯეფერსონ ფარფანზე ველური შეტევა მოაწყო.


REUTERS

### ბელგია
იუპილერლიგა
XXIV ტური
მონსი 1:3 სერკლი
ბეერსხოტი 3:1 გენკი
ბევერენი 2:2 ოსტენდე
ბრიუგე 4:1 ბრიუსელი
სენტ ტრუიდენი 4:0 ლიერსი
ვესტერლო 1:1 ლოკერენი

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
პაშინგი 1:0 მატერსბურგი
ადმირა — რაპიდი გადაიდო

### საბერძნეთი
თასი. მეოთხედფინალი
არისი 0:0 კალამარია

### ესპანეთი
სეგუნდადივიზიონი
გადადებული მატჩი
კორდობა 0:0 ეიბარი

### გერმანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
პორტა (8) — დორტმუნდი (8) და უნიონი — კილი გადაიდო

### რუსეთი
თასი. 1/8 ფინალი
ზენიტი 0:0 ყუბანი
როსტოვი 1:2 სატურნი
დინამო 1:1 კრილია

### თურქეთი
სუპერლიგა
გადადებული მატჩები
ისთანბული 1:2 ანკარა
ბეშიქთაში 0:0 გენჩლერი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# შესარჩევი პოპ ფასები

## ჩოლარიას კონცერტები უფასო რეპორტაჟებით

— ადრე, საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებისას ხან სახელმწიფო, ხან კიდევ სხვადასხვა ფირმები გვეხმარებოდნენ და ბილეთებიც, შესაბამისად, შედარებით იაფი იყო. ახლა კი, კაციშვილი ჩვენკენ არ იყურება და იძულებულნი ვართ, ბილეთებს ისეთი ფასები დავადოთ, საორგანიზაციო ხარჯები მაინც რომ ავინაზღაუროთ და წარმატების შემთხვევაში, ჩვენი ნაკრები პრემიებით წავახალისოთ. ფეხბურთის ფედერაციას აქვს ლეგიონერთა მგზავრობის ხარჯები, დაახლოებით 25-30 ათასი დოლარი; ფედერაცია იხდის ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებისთვის სასტუმროსა და კვების ფულს; ფედერაცია მასპინძლობს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მსაჯებსა და დელეგატებს; ვქირაობთ სტადიონს, ვბეჭდავთ აფიშებს, პროგრამებს, ბილეთებს; ჩვენ ვუზრუნველყოფთ უსაფრთხოებას. ბილეთების ფასიც ამ ხარჯებიდან გამომდინარეობს.

*საქართველოს ნაკრების საბერძნეთთან და თურქეთთან 26 და 30 მარტის შესარჩევი მატჩების ბილეთები 20, 40 და 50 ლარი ღირს. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია და ამ თამაშებზე დასწრება თუ გსურთ, თადარიგი აქედანვე დაიჭირეთ. გუშინ, სწორედ საბერძნეთ-თურქეთთან მატჩების თაობაზე სასაუბროდ ვესტუმრეთ ფეხბურთის ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიას და გვითხრა, ბილეთების გაიაფების ერთადერთი ვარიანტი ის არის, ამ თამაშების საორგანიზაციო ხარჯებს რომელიმე კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაცია ნაწილობრივ მაინც თუ შეგვიმსუბუქებს, ანუ დაგვეხმარებაო. სხვანაირად კი...*



— **კი, მაგრამ, რაც ჩამოთვალეთ, ყველაფერი ხომ სწორედ ფედერაციის საქმეა?**

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენი საქმეა და ვაკეთებთ კიდეც. ბილეთებსაც, ვფიქრობ, ნორმალური ფასი აქვს და ფეხბურთის ნაღდი ქომაგის ჯიბეს მისი შეძენა დიდად არ დაეტყობა. ხალხი ვითომ პოპ ვარსკვლავების კონცერტებში 50 და 100 დოლარს იხდის და 20 ლარი ასეთი დონის ფეხბურთი ნამდვილად ღირს.

— **ყველას თავისებური გემოვნება აქვს. პოპ ვარსკვლავების კონცერტში 100 დოლარის გადახდა ვიღაცას უღირს და იხდის კიდეც. ფეხბურთთან ეს რა შუაშია?**

— იმ შუაშია, რომ 26 და 30 მარტს თბილისში ფეხბურთის პოპ ვარსკვლავები ჩამოდიან.

— **გასაგებია, რომ ეს მატჩები 20, 40 და 50 ლარი გიღირთ. არ ფიქრობთ, რომ „ლოკომოტივის" სტადიონის ტრიბუნები შეიძლება ცარიელი დარჩეს?**

— ჯერ იმას გეტყვით, რომ 50-ლარიანი ბილეთები აღარ არის, 40-ლარიანი ბილეთები კი სანახევროდ გაყიდულია. უფრო სწორად, ამ ბილეთებზე შეკვეთები უკვე მიღებული გვაქვს და დაჯავშნულია. ხოლო მათთვის, ვისაც ბილეთის 20 ლარი არ აქვს, ფეხბურთის ფედერაციამ ტელეკომპანია „იმედს" ორივე მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ჩვენების უფლება უფასოდ მისცა. უბილეთო ქომაგს შეუძლია მატჩებს ტელევიზორში უცქიროს. ვიმეორებ, „იმედზე" ორივე მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი იქნება.

— **სტადიონი თუ შეივსება?**

— ვვარაუდობთ, რომ 11-15 ათასი კაცი სტადიონზე ყველა ვარიანტში მოვა. ხოლო თუ კარგი ამინდი იქნება, საბერძნეთთან „ლოკომოტივი" გაივსება. ღმერთმა ქნას, და ბერძნებს თუ მოვუგეთ, მაშინ, ქვეყანა რომც დაიქცეს, თურქეთთან თავისუფალი ადგილი არ დარჩება.

— **მრავალრიცხოვანი იქნება მეტოქეთა დელეგაციები?**

— ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ორივე ქვეყანა 70-80-კაციანი ოფიციალური დელეგაციებით ჩამოვა.

— **ბილეთების დაჯავშნაზე მათგან განაცხადი არ მიგიღიათ?**

— მივიღეთ და ამ ეტაპზე ცალკე ბერძნებისთვის, ცალკე თურქებისთვის 100-100 ცალი 40-ლარიანი ბილეთები გვაქვს გადადებული. სტუმრები ვალდებულები არიან, ბილეთების რაოდენობაზე მატჩამდე ერთი კვირით ან უფრო ადრე გვაცნობონ.

— **სალაროებში როდის დაიწყება ბილეთების გაყიდვა?**

— ალბათ 15 მარტიდან.

— **მატჩების უსაფრთხოება ცალკე თემაა. როგორ იქნება ამ მხრივ საქმე?**

— ეს მართლაც განსაკუთრებული საკითხია და ჩვენც შესაბამისად ვემზადებით. უკვე მივმართეთ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მან კი, თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრს. გეტყვით, რომ ამ ორ თამაშზე უსაფრთხოების თანამშრომლები ერთი-ათად გაძლიერებული რეჟიმით იმუშავებენ და ვიმედოვნებ, ეს მატჩები უინციდენტოდ ჩაივლის. წესრიგი სტადიონზე ქომაგმაც უნდა დაიცვას და ხულიგნებს ხულიგნობის საშუალება არ მისცეს. საბერძნეთთან იგივე თუ განმეორდა, რაც ამას წინათ ლიტვასთან ამხანაგური თამაშისას, დარწმუნებულნი იყავით, 30-ში თურქების ველარ ვუმასპინძლებთ. არადა, იცით ლიტვასთან ბილეთი რა ღირდა და რამდენი გაიყიდა? ბილეთი ხუთი ლარი ღირდა და სულ 700 ცალი გაიყიდა. ტრიბუნაზე კი 3 000 კაცი იყო. 2 300 უბილეთო, თავადაც ნახეთ, ლიტვასთან როგორ იქცეოდა. საბერძნეთთან და თურქეთთან ჩემთვის, პირველ ყოვლისა, მთავარი შედეგი და უსაფრთხოებაა.

— **საბერძნეთში და თურქეთში იქნება მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები?**

— რა თქმა უნდა. მეტიც, სხვადასხვა ქვეყნის 15 ტელეკომპანია გადასცემს 26 და 30 მარტის მატჩების რეპორტაჟებს. ჩანაწერების ჩვენების უფლება კი „ევროსპორტმაც" გვთხოვა.

— **და კიდევ: სად იცხოვრებენ სტუმრები?**

— საბერძნეთი 24 მარტს ჩამოვა, თურქეთი 28-ში. ორივე გუნდი, თავიანთი ახალგაზრდული ნაკრებებით სასტუმრო „მარიოტში" გაჩერდება.

**კობა ინასარიძე**

# სტადიონი თეატრად რომ არ იქცეს...

## ნუ გადავიხდით ზედმეტს!

**არაერთ** ქართველ ფეხბურთელს უთქვამს, ჩვენს სტადიონზე თამაშისას თავი თეატრში მგონიაო. რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების წაგებულ მატჩებს გულშემატკივართა სიჩუმესა და პასიურობას არ ვაბრალებთ, მაგრამ სავსე ტრიბუნები და თავგადაკლული ქომაგობა მეთორმეტე მოთამაშის ფუნქციას რომ ასრულებს, ყველამ იცის.

ეს იმიტომ მოვაყოლეთ, რომ არის საშიშროება, 26 და 30 მარტს, საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებზე, „ლოკომოტივის" სტადიონი სანახევროდაც არ შეივსოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ მატჩებზე დასასწრებ ბილეთებს ცეცხლის ფასი დაადო — 20, 40 და 50 ლარი.

განა, გეგულებათ ამ დუხჭირ ქვეყანაში 20 000 გულშემატკივარი (ოღონდ, ნაღდი გულშემატკივარი), ამხელა თანხა რომ გაიღოს?

ქომაგთა ლიგის თავმჯდომარემ ზურაბ პეტრიაშვილმა სწორედ ბილეთების სიძვირის გამო მიგვიწვია გუშინ ჭადრაკის სასახლეში და ფეხბურთის ფედერაციაში გასაგზავნი წერილიც დაგვახვედრა.

ქომაგთა ლიგა სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ფეხბურთის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის სახელით სთხოვს, ბილეთს ფასის დააკლოს და მოშიშვლებული ტრიბუნები არ შეატოვოს უმნიშვნელოვანეს მატჩებს.

— ფედერაცია უწესრიგობასთან ბრძოლის თვალსაზრისით, გაწეულ ხარჯების დასაფარად და ფეხბურთელთა პრემიების გასაცემად აპირებს ბილეთების ფასის გაზრდას. დღეს საქართველოში ფანების უმრავლესობას სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები შეადგენენ, ისინი კი 40 ან 50 ლარიან ბილეთს ვერ იყიდიან. სტადიონი რომც შეივსოს, ჩვენს ნაკრებს ქომაგობა არ ექნება, რადგანაც თავგადაკლული გულშემატკივრების ნაცვლად მეტწილად ის ფულიანი ხალხი იჯდება ტრიბუნებზე, რომლებიც ყიჟინ-ხივილით არ გაამხნევებენ ფეხბურთელებს.

...ვერანაირი ფულადი შემოსავალი ვერ გადაწონის ამ მატჩებში გამარჯვებას. უწესრიგობის აღსაკვეთად კი ჩვენ, ჟურნალისტები და ვეტერანი ფეხბურთელები აქტიურად ვიმუშავებთ. დარწმუნებული ვართ, ალენ ჟირესი და ნაკრების მოთამაშეებიც მხარს დაგვიჭერენ, პირველ რიგში ხომ მათ სჭირდებათ ქომაგობა.



ზურაბ პეტრიაშვილი

...ცნობილია, რომ ნაკრების ფეხბურთელები მოუთმენლად ელიან ეროვნული სტადიონის კეთილმოწყობას, სადაც 70 000 ქომაგი დაეტევა. მიზეზთა გამო ეს ჯერჯერობით ოცნებად რჩება."

ჟურნალისტების გარდა, ჭადრაკის სასახლეში სფფ-ის პრესატაშე ლევან სალუქვაძეც იყო, რომელმაც თქვა, ფედერაცია ალბათ გადახედავს ბილეთების ფასს და საზოგადოებრივ აზრს გაითვალისწინებსო. ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას უთქვამს, 50-ლარიანი ბილეთები თითქმის ბოლომდე შეკვეთილია (გარკვეული ორგანიზაციების მიერ) და მისი გაყიდვა პრობლემა არ იქნებაო.

„ჩოლარიას არ აშინებს ბილეთების სიძვირე — შეხედეთ, ხალხს ნაირ-ნაირი „მერსედესი" და მობილური ტელეფონი აქვს, 40 და 50 ლარს როგორ არ გადაიხდიანო. საქმეც ამაშია, გამოდის, რომ სტადიონზე მივა ის, ვისაც მეტი ფული აქვს და არა ის, ვისაც უფრო მეტად უყვარს ფეხბურთი და თავისი ნაკრები. ვფიქრობ, ჩვენი თხოვნა შედეგს გამოიღებს, ყოველ შემთხვევაში, ფედერაციამ ცოტა შეარბილა თავისი პოზიცია" — ამბობს ზურაბ პეტრიაშვილი.

პეტრიაშვილმა უსაფრთხოების საკითხზეც თქვა, ფედერაციასთან თანამშრომლობა შემოგვთავაზა და არაა გამორიცხული, მატჩის დაწყებამდე პოლიციელებთან ერთად ჩვენც გავაკონტროლოთ გულშემატკივარი, რათა სტადიონზე დანები, ბოთლები და სხვა საზიანო საგნები არ შემოიტანონ. ღმერთმა ქნას, მარშანწინ ირლანდიასთან და ახლახანს ლიტვასთან მომხდარი ინციდენტები არ განმეორდესო.

და კიდევ, ზურაბ პეტრიაშვილს იდეა დაებადა, 25 მარტს, ანუ ბერძნებთან მატჩის წინა დღეს, ქართულმა ტელეარხებმა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი („იბერია" — „კოლხეთი") გადასცენ, რათა ზოგიერთ ვაი-ქომაგს ნაღდი გულშემატკივრობის ნიმუში აჩვენონ და „ზედმეტი არ მოუვიდეთო"...

**ილია ნანობაშვილი**

# ჩვენ გვიყვარს სიმყუდროვე

## გია გურული ჯამარაულზე, გოგუაზე და იაშვილზე

*26-30 მარტო შორი აღარაა, სანაკრებო ციებ-ცხელება ახლოვდება და ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურულსაც ამად შევეხმიანეთ საფრანგეთში. საბერძნეთთან და თურქეთთან 26 და 30 მარტს შინ ვთამაშობთ და ამის შემდეგ ძალიან კარგად გამოჩნდება, თუ რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს მუნდიალზე მოსახვედრად...*

— საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებისთვის გამოძახებული ფეხბურთელთა სრული სია როდის გამოქვეყნდება?

— 12 ან 13 მარტს.

— თქვენ და ალენ ჟირესი თბილისში როდის ჩამოხვალთ?

— 11 მარტს და მეორე დღეს საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე მატჩსაც დავესწრებით.

— გიორგი ქინქლაძემ თავად გვითხრა, რომ სანაკრებო მიწვევა მიუვიდა — ქინქლაძის გარდა ჟირესი ალბათ მალხაზ ასათიანსაც გამოიძახებს — როგორ იქნება გოჩა ჯამარაულის საკითხი, სამ გამთამაშებელს გამოიძახებთ?

— ჯამარაულის „დინამოში" თამაში არ გვინახავს, თუმც ინფორმაციები გვაქვს. ჯამარაულის საკითხი მაშინ გაირკვევა, როცა ჟირესი და მე თბილისში ჩამოვალთ — ხომ იცით, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს.

— რეინჯერსელების, ზურაბ ხიზანიშვილის და შოთა არველაძის საქმე როგორ იქნება, მათ მიზეზთა გამო სათამაშო პრაქტიკა ამ არ აქვთ...

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან სანაკრებო მატჩებამდე დრო კიდევ საკმაოდაა და უნდა მოვიცადოთ. შოტლანდიაში და გერმანიაში გრიპი იყო მოდებული, რაც ნაკრების ფეხბურთელებსაც შეეყარათ. სხვათა შორის, გრიპი მთელ ევროპაშია მოდებული, მათ შორის საფრანგეთშიც.

— ახალგაზრდული ნაკრებიდან ხომ არ აპირებთ ვინმეს დამატებას, მაგალითად, სანდრო იაშვილის, რომლის თამაშსაც ლიტვის ამხანაგურ ნაკრებთან ჟირესმა და თქვენ უყურეთ?

— იაშვილის ტრანსფერზე „რეინჯერსი" სერიოზულად რომ ფიქრობს, ძალიან კარგია, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ეს არ კმარა. ერთი კარგად ნათამაშევი მატჩიც არ ნიშნავს ყველაფერს და იაშვილის ლიტვასთან თამაშით დასკვნის გამოტანა ნაჩქარევი იქნება.

— გოგიტა გოგუას კვლავ მიიწვევთ ნაკრებში თუ მისი შესარჩევი ციკლის მატჩებში გამოყენებაც ნაჩქარევად მიგაჩნიათ?

— გოგუა სხვა შემთხვევაა, ის ძალიან თავდადებული მოთამაშეა და მისი ლიტვასთან სანაკრებო დებიუტით კმაყოფილნი დავრჩით, თუმც გოგუას სერიოზული დარიგება სჭირდება, რათა შეუპოვარი თამაშით ბარათები არ მიიღოს და გუნდი არ დააღალატოს.

— საბერძნეთისთვის და თურქეთისთვის ნაკრები ისევ სასტუმრო „ბატესტაში" შეიკრიბება?

— ან სასტუმროში, ან ნაკრების ბაზაზე. ჩვენ გვირჩევნია, რომ ბაზაზე დავბანაკდეთ, რადგან იქ უფრო მეტი სიმყუდროვეა.

**დავით თავართქილაძე**





# გრძელდება: მელიქია VS ჟორჟიკაშვილი

*თბილისის „დინამოს" მმართველმა დირექტორმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრმა დავით პეტრიაშვილმა დოკუმენტს ხელი მოაწერა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ფედერაციის რიგგარეშე აღმასკომის სხდომა მალე გაიმართება...*

## ოპოზიციას შანსი პეტრიაშვილმა მისცა

რიგგარეშე აღმასკომის ჩატარება 8 თებერვლის აღმასკომის სხდომას მოჰყვა, რომელზეც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად ლევან მელიქია აირჩიეს, აღმასკომის ერთი ფრთა კი ამ პოსტზე კობა ჟორჟიკაშვილის დანიშვნას მოითხოვდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჟორჟიკაშვილი „თბილისის" ფავორიტი გახლდათ, ხოლო მელიქიას მხარს მისი მეგობრები და ყოფილი თანაგუნდელები, ალექსანდრე ჩივაძე და ვლადიმერ გუცაევი უჭერდნენ. ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ კი თავი შეიკავა, არც ერთი კანდიდატისთვის არ მიუცია ხმა.

ერთი სიტყვით, აღმასკომის ის წევრები, ჟორჟიკაშვილს რომ ემხრობოდნენ და დამარცხდნენ, ბრძოლას მაინც განაგრძობენ.

რიგგარეშე აღმასკომის მოწვევას აღმასკომის წევრთა მინიმუმ ერთი მესამედის ანუ შვიდი წევრის თანხმობა სჭირდება. ჟორჟიკაშვილის მხარდამჭერებს კი აქამდე აღმასკომის ოდენ ექვსი წევრის ხელმოწერა ჰქონდათ სათანადო დოკუმენტზე, მაგრამ პეტრიაშვილის წყალობით შვიდამდე ავიდნენ. თუმც როგორც „დინამოში" გვითხრეს, პეტრიაშვილის ხელმოწერა იმას არ ნიშნავს, რომ ის ჟორჟიკაშვილს უჭერს მხარს ან პირიქით — რიგგარეშე აღმასკომზე კონკრეტულის გარდა ქართული ფეხბურთის ზოგად პრობლემებზეც იმსჯელებენ.

აღმასკომის წესდების თანახმად სხდომა დოკუმენტის ფედერაციაში წარდგენის დღიდან არაუგვიანეს ორ კვირაში უნდა ჩატარდეს, ქაღალდი კი, შვიდი ხელმოწერით, ფედერაციის გენმდივან ვალერი ნოლარიას გუშინ წარუდგინეს.

მაგრამ რას გახდება აღმასკომის შვიდი წევრი თოთხმეტიან? ჯერ ეს ერთი, თოთხმეტიდან ყველა არ იყო მელიქიას მხარდამჭერი, ზოგიერთმა მათგანმა უბრალოდ თავი შეიკავა, მეორეც ის, რომ ჟორჟიკაშვილის მხარდამჭერნი აღმასკომის რიგგარეშე სხდომაზე ჟურნალისტების დასწრებას ან რომელიმე ტელეარხზე სხდომის პირდაპირ ტრანსლაციას მოითხოვენ.

მოკლედ, მძაფრი ამბები გველის.

**დავით თავართქილაძე**



# ჟირესის თვალი სტამბოლში

## მზვერავ დარსაძის ჩანაწერები

**ახლოვდება** საქართველოს ნაკრებისთვის ორი ფრიად მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი. ჩვენები 26 მარტს ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს უმასპინძლებენ, 30-ში კი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსან თურქეთს დაუხვდებიან.

რა დონის გუნდები არიან ქართველების მომავალი მეტოქეები, ზემოხსენებული ტიტულებიდანაც ჩანს, თუმც ისიც სათქმელია, რომ ბოლო დროს ვერც ბერძნები და ვერც თურქები ტოვებენ უძლეველთა შთაბეჭდილებას.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელს ალენ ჟირესს, რომელიც თბილისში ხვალ ჩამოვა, ორივე გუნდზე საკმაო ინფორმაცია აქვს, მაგრამ, ცხადია, მეტზეც არ იტყვის უარს. ჟირესმა საბერძნეთ—დანიის მატჩზე თებერვალში გაიოზ დარსაძე აფრინა და ათენიდან ჩამოტანილი ამბებით კმაყოფილიც დარჩა.

ახლა კი ჟირესმა ფეხბურთის ფედერაციას გაიოზ დარსაძის თურქეთში გამგზავრება სთხოვა. მოგეხსენებათ, 26 მარტს, თურქეთი თავისთვის ყოველთვის უხერხულ მეტოქეს, ალბანეთს უმასპინძლებს და ჟირესმა ამ მატჩზეც დარსაძის დასწრება ისურვა. ფედერაციამ კი მზირის მივლინების ყველა საორგანიზაციო საკითხი უკვე მოაგვარა.

ერთი სიტყვით, საბერძნეთ-თურქეთზე ალენ ჟირესს ინფორმაცია საკმაოდ უნდა მოუგროვდეს. მთავარია, როგორ გამოიყენებს...

**ქობა ინასარიძე**

## თქვენი ინტერვიუ

## ზურაბ ხიზანიშვილთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები ნამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

# მინ ჩოიმ რომ არ მოიწყინოს...

## თბილისში კიდევ ერთი კორეელი ჩამოდის


მინ ჩოის თბილისში მალე ერთი კორეელიც ჩამოუვა

„თბილისის" კორეელ ლეგიონერ მინ ჩოის მარტის მიწურულს ერთი თვისტომი შეუერთდება. მართალია, სახელ-გვარი ვერ შევიტყვეთ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ახალი კორეელი ერთ-ერთ გერმანულ კლუბში თამაშობს და, როგორც „თბილისის" ხელმძღვანელები ამბობენ, მინ ჩოიზე ძლიერი ფეხბურთელია.

რაც შეეხება განელ დუგლას ადომაკოს, იგი უკვე ორი კვირაა, „თბილისშია", მაგრამ კონტრაქტს ვერა და ვერ ელირსა. ლუის ცაკარიასმა ადომაკოს კიდევ მისცა შანსი, აქაოდა, ბოლო დღეებში განელმა ფორვარდმა აშკარად მოუმატა ვარჯიშებზე და არ მინდა, ასე უცებ ჩავიქნიოთ მასზე ხელიო...

**ილია ნანობაშვილი**



# წყვილთა დღე

**საქართველოს** თასის მეოთხე ნახევარფინალისტი „ზესტაფონი" 8 მარტს, „ბათუმთან" 1:0 მოგების შემდეგ გამოვლინდა და ნახევარფინალისტთა თბილისურ ტრიოს — „ვიტ ჯორჯია", „ლოკომოტივი", „თბილისი" — შეუერთდა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესსამსახურის ცნობით, ნახევარფინალის წილისყრა ხვალ 13.30 საათზე გაიმართება.

ვნახოთ, როგორ დაწყვილდება თასისთვის მებრძოლი საუკეთესო ოთხეული.

**ლუკა თალაკვაძე**

# მკვირცხლი, შედეგიანი, თავმდაბალი

*ვიტჯორჯიელი ოთარ მარცვალაძე უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია საქართველოს ჩემპიონატში. მკვირცხლმა თავდამსხმელმა მეორე ეტაპის ოთხ ტურში ოთხი გოლის გატანა მოასწრო და ბომბარდირებშიც გაერია. 20 წლის მარცვალაძეს არც საგოლე ალღო ღალატობს და, რაც თვალში საცემია, ვერცხლისწყალივით მოძრავია...*

„ანთალიაში კარგი შეკრება გავიარეთ და ჩემპიონატის მეორე ეტაპს უკეთეს ფორმაში შევხვდი. „ვიტ ჯორჯიამაც" მოუმატა, თუმც ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ ჯანი კარნევალის მოსვლის გამო მოხდა. ყველა მწვრთნელს თავისებური მიდგომა აქვს და არც კარნევალია გამონაკლისი" — მარცვალაძე პროგნოზებს ერიდება, თუმც ვიტელთა ჩემპიონობას არ გამორიცხავს, რაკი ოთხეულში ვართ და „დინამოს" მოვუგეთ, ესე იგი, უკეთესზე უნდა ვიფიქროთო. მთავარ ფავორიტად კი სწორედ გია გეგუჩაძის გუნდს თვლის.

ზამთრის შესვენებაზე ვეტერინარებს გიორგი ადამია გამოაკლდათ, რომელსაც ოთარი თითქმის უსიტყვოდ უგებდა.

„არც დავით ჩილვინაძესთან და ირაკლი ებანოიძესთან ერთად მიძნელდება თამაში. ეგ არის, ადამიასთან უფრო შეთამაშებული ვიყავი. ერთი სიტყვით, დროის მომენტია, ახალ მეწყვილეებსაც შევეჩვევი".

მარცვალაძეს მიმდინარე სეზონში 9 გოლი მოუგროვდა და ჩემპიონატის მთავარმეგოლე ლევან მელქაძეს 7 ბურთით ჩამორჩება.

„ბომბარდირობაზე როგორ არ ვფიქრობ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. ისე კი, პირად მონაგარზე მეტად გუნდის შედეგი მაინტერესებს. მთავარია, თამაშით სიამოვნება მივიღო და ჩემიანებმაც მოიგონ."

ჩვენ ჩემპიონატში მონაწილე თავდამსხმელებიდან „ვიტ ჯორჯიას" მთავარ ფორვარდს ყველაზე მეტად ტორპედოელი გია მეგრელაძე მოსწონს, მის შემდეგ კი დინამოელ ლევან მელქაძესა და თბილისელ სანდრო იაშვილს გამოარჩევს.

მარცვალაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოახლოებულ შესარჩევ მატჩებს მოუთმენლად ელის და ამბობს, ნაკრები ჩემთვის ყველაზე ძვირფასიაო...

და კიდევ, ალბათ არც ის დროა შორს, მარცვალაძე უცხოეთის გზას რომ დაადგება, თუმც:

— „ვიტ ჯორჯია" ჩემი გუნდია. ჩემი რეალურად მსურველი კლუბი კი ჯერჯერობით არ გამოჩენილაო — აცხადებს ჯანი კარნევალის მთავარი იმედი.

**ილია ნანობაშვილი**


ვიტელმა ოთარ მარცვალაძემ (№22) მეორე ეტაპი გოლებით დაიწყო

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# სოციალ-დემოკრატ ბლოხინს იანუკოვიჩი შეეშალა დღეს სასამართლოა...

### უკრაინა

**უკრაინის** ნაკრების მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი არც დეპუტატობას შეელევა და არც მწვრთნელობას, მისი საქმიანობა კანონის ფარგლებში ჯდება — ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა იგორ მიროშნიჩენკომ.

შეგახსენებთ, რომ ბლოხინის წინააღმდეგ რადას დეპუტატების მთელმა ჯგუფმა გაილაშქრა და მისგან ერთ-ერთი სამსახურის დატოვება მოითხოვა. დეპუტატების თქმით, დეპუტატ ბლოხინს მწვრთნელობის შეთავსების უფლება არა აქვს.

— სამწვრთნელო საქმიანობა პედაგოგიკის სფეროში შედის. ეს კი კანონით დასაშვებია. ასე რომ, ოლეგ ბლოხინი უკრაინის ნაკრებში რჩება — განაცხადა მიროშნიჩენკომ.

წერტილი კი ამ ამბავს დღეს დაესმება, როცა დაპირისპირებული მხარეები სასამართლოში შეხვდებიან ერთმანეთს. სარჩელის განხილვა კიევის საქალაქო სასამართლოშია დანიშნული.



საინტერესოა ისიც, რომ ბლოხინი უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია. ეს პარტია კი იმითაა გამოსარჩევი, რომ ამასწინანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ვიქტორ იანუკოვიჩს დაუჭირა...

**კახა შალამბერიძე**

# ექსკურსია კოპენჰაგენში

## ტიმოფეევმა ოცეული შეარჩია



სერგეი ტიმოფეევი

### ყაზახეთი

**26 მარტი** მსოფლიოში სანაკრებო დღეა და უქმად არც ჩვენი ჯგუფი იქნება. ამ დღეს საქართველო საბერძნეთს რომ მასპინძლობს, არახალია. აი, ჩვენი ჯგუფის უპირობო აუტსაიდერი ყაზახეთი კი კოპენჰაგენში დანიას სტუმრობს და, ბუნებრივია, ხანგრძლივი მარცხიანი სერიის შეწყვეტა უკიდურესად გაუჭირდება.

ყაზახთა თავკაცმა სერგეი ტიმოფეევმა უკვე შეარჩია დანიაში წასაყვანი ფეხბურთელები, თუმც შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. ოცი ფეხბურთელიდან თექვსმეტი ყაზახეთის ჩემპიონატში თამაშობს, ოთხი კი რუსულ პრემიერლიგასა და პირველ დივიზიონში.

***მეკარეები:*** *იური ნოვიკოვი (ირტიში), ალექსანდრე მოკინი (ეკიბასტუზი);*

***მცველები:*** *იგორ ავდეევი (ეკიბასტუზი), სამატ სმაკოვი (ყაირათი), რენატ დუბინსკი (შინნიკი, რუსეთი), დმიტრი ლიაპკინი (ხიმკი, რუსეთი), პირალი ალიევი (ყაირათი), ყაირათ უტებაევი (ყაირათი), ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *ანტონ ჩიჩულინი (ყაირათი), ანდრეი კარპოვიჩი (ყაირათი), მაკსატ ბაიჟანოვი (კაისარი), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), მაქსიმ აზოვსკი (ალმათი), რუსლან ბალტიევი (მოსკვა, რუსეთი), ანდრეი ტრავინი (ალმათი), სერგეი ლარინი (ალმათი);*

***თავდამსხმელები:*** *დენის როდიონოვი (ატირაუ), ალიბეკ ბულეშევი (ყაირათი), მაქსიმ შევჩენკო (შახტიორი).*

**კახა შალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

## მათთვის სამწუხარო რეალობა
### ეგებ მილანმა თასიც აიღოს



ჟენარო გატუზო როი კინისა და პოლ სქოულზის გარემოცვაში

მილანი. „სან სირო". 78 957 მაყურებელი

**მილანი 1:0 მანჩესტერი (1:0)**

1:0 კრესპო (61)

| | |
|---|---|
| დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, სტამი, გატუზო (კოსტაკურტა 89), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (დორასო 85), კაკა, კრესპო (ამბროზინი 78) | ჰოვარდი, ბრაუნი (სმიტი 85), ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, კინი, სქოულზი, ვან ნისტელროოი, გიგზი (ფორჩუნი 57), რუნი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი |

გაფრთხილება: ფორჩუნი (58)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**უკალაძეო** „მილანმა" „მანჩესტერ იუნაიტედი" ერნან კრესპოს გოლით დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა. ისე, იტალიელები ამ გოლის გარეშეც შემდეგ ეტაპზე იყვნენ, რაკი პირველი თამაშიც მოგებული ჰქონდათ.

გოლი კი ასე გავიდა: „ჩელსისგან" ნასესხებმა არგენტინელმა კაფუსგან უზუსტესი პასი მიიღო და თავი დაჰკრა. ამ გოლის თაობაზე ნამატჩევს ალექს ფერგიუსონმა თქვა, ფანტასტიკური თავური იყოო. თავად მეგოლემ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ძალიან ბედნიერი ვარ. მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უაღრესად ვფრთხილობდით და განსაკუთრებული ყურადღებით ვითამაშეთ."

სიფრთხილის მიუხედავად, პირველ ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა გატანის ნაღდი შანსი. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბურთი ორივე კარის ძელს მოხვდა. სტუმართაგან რაიან გიგზმა გაარტყა, მასპინძელთაგან კი კაკამ.

შესვენების მერე მილანელებმა იმდენი მოახერხეს, რომ უეინ რუნი და კრისტიანო რონალდო საიმედოდ ამოკეტეს, რის გამოც „მანჩესტერის" იერიშები იმდენად სახიფათო აღარ იყო. კრესპომ კი, სანამ გაიტანდა, ორი კარგი მომენტი გაანიავა. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ მასპინძელთა შეტევების უმრავლესობა კაფუს წამოწყებული იყო და მისი ჩაწოდებები მუდამ ხიფათს ქმნიდა.

თუკი კრესპოს გოლამდე „მანჩესტერს" მეოთხედფინალში გასვლის არცთუ ურიგო შანსი რჩებოდა, გაშვებულმა გოლმა სტუმრებს იმედი ფაქტობრივად გადაუწურა, ფრთაშესხმული „მილანი" კი უფრო გათამამდა და ერთ ეპიზოდში პენალტსაც ითხოვდა — როი კინმა საჯარიმოში ხელით ითამაშაო.

ნამატჩევს ფერგიუსონმა გამოცდილებაზეც დაიწუწუნა, მეტოქეს მალდინი და კაფუ ჰყავს და როგორ გინდა, ჩვენს ახალგაზრდა შემტევებს მათი დაცვა გაეგლიჯათო.

მერე ფერგიუსონს ჰკითხეს, 180 წუთში ერთი გოლიც რომ ვერ გაიტანეთ, რას იტყვითო:

— ცხადია, იმედგაცრუებული ვარ — უპასუხა სერ ალექსმა — ორი მატჩის ჯამში ექვსი ნაღდი მომენტი გვქონდა. ამაზე მეტი არც „მილანს" ჰქონია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვერ გავიტანეთ, ვფიქრობ, რუუდ ვან ნისტელროოის არადამაკმაყოფილებელი ფორმაა. ძველებურად ასათამაშებლად მას კიდევ ერთი ორი მატჩი სჭირდება. ისე, გიგზს ცოტა რომ გამართლებოდა და ძელისთვის გარტყმის მაგიერ კარში გაეტანა, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა თამაში წავიდოდა. მაგრამ ამით მეტოქის დაკნინება სულაც არ მსურს. თუ „მილანმა" მომავალშიც ასე ითამაშა, ეგებ თასიც აიღოს.

კარლო ანჩელოტიმ კი თქვა: „ნახევარდაცვაში ჩვენი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, „ოლდ ტრეფორდზეც" და ახლაც დამსახურებულად გავიმარჯვეთ."

ხოლო ინგლისელთა კაპიტანმა როი კინმა შედეგი ასე შეაფასა: „ორ მატჩში გოლი ვერ გავიტანეთ. შესაბამისად, შემდეგ ეტაპზე გასვლასაც არ ვიმსახურებდით. ეს ჩვენთვის სამწუხარო რეალობაა."

**ირაკლი ნინიძე**

## ცხრა ფრანგის ცხრა გოლი

ლიონი. „სტად ჟერლანი". 37 000 მაყურებელი

**ლიონი 7:2 ვერდერი (3:0)**

1:0 ვილტორდი (8), 2:0, 3:0 ესიენი (17, 30), 3:1 მიკუ (32), 4:1 ვილტორდი (55), 4:2 ისმაელი (57პ), 5:2 მალუდა (60), 6:2 ვილტორდი (64), 7:2 ბერტოდი (80პ)

| | |
|---|---|
| კუპე, ლ. დიატა, კრისი (კლემენი 62), ესიენი, აბიდალი, ბერტოდი, მ. დიარა, ჟუნინიო, გოვუ, ვილტორდი (ნილმარი 68), მალუდა | რაინკე, სტალტერი (დავალა 76), ისმაელი, ბაუმანი, პასანენი, კლასნიჩი (ფარენჰორსტი 69), მანინი, ერნსტი, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი |
| მწვრთნელი: პოლ ლე გუენი | მწვრთნელი: თომას შააფი |

გაფრთხილება: ბერტოდი (34), კლასნიჩი (34), მალუდა (65), ვალდესი (65)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**„კლერმონს"** ვერ მოუგო, „კაენთან" წააგო, ფორმიდან ამოვარდაო, ამბობდნენ „ლიონზე" აგერ და 7:2. ბრემენის „ვერდერის" ყველაზე თავგადაკლულ ქომაგსაც კი ალბათ არ სჯეროდა, რომ საშინაო 0:3-ის შემდეგ სასწაული მოხდებოდა, მაგრამ ასეთ ვერ წარმოიდგენდნენ, თუ მათი გუნდი სამარცხვინოდ წააგებდა.

საინტერესოა ისიც, რომ ცხრა გოლიდან ცხრავე ფრანგებმა გაიტანეს. მასპინძელთა შვიდს, სტუმართა ორმა ფრანგმა, მიკუმ და ისმაელმა თითო-თითო უპასუხეს. ბოლო ორ სეზონში უკვე მესამე შემთხვევაა, რომ ფრანგულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში ხუთბურთიანი სხვაობით მოიგო. 2003-ში „მონაკომ" „დეპორტივო" 8:3 გაანადგურა, გასულ შემოდგომაზე ეს გუნდები ისევ გადაეყარნენ ერთმანეთს და დეშანის შეგირდებმა და კორუნიაში 5:0 იმარჯვეს, ახლა კი ალავერდი „ლიონთან" გადავიდა. „ვერდერის" რბევა, ისევე როგორც ბრემენში, სილვენ ვილტორდმა დაიწყო და საბოლოოდ ჰეთ ტრიქი მიითვალა. მიკაელ ესიენმა დუბლი გაიფორმა, მალუდამ და ბერთოდმა კი თითო იკმარეს.

„ეს ძალიან კარგი შოუ იყო ყველა გაგვამხიარულა — თქვა მალუდამ — ახლა გამოჩნდა „ლიონის" ნამდვილი ძალა. ჩვენ შარშანაც მეოთხედფინალში ვიყავით და გამოცდილება შევიძინეთ, ამჯერად ნახევარფინალში გასვლას ვაპირებთ".

პოლ ლე გუენი: „საკმაოდ ძლიერი მეტოქეს ვაჯობეთ და ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. ვიმედოვნებ, რომ შარშანდელზე შორს წავალთ".

„ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში კვლავ მოხვედრა უნდა დავისახოთ მიზნად, რათა მომავალში დავამტკიცოთ, რომ ამ მწარე გაკვეთილისგან ბევრი რამ ვისწავლეთ" — განაცხადა ფრანკ ბაუმანმა. ხუთბურთიანი სხვაობით (0:5) „ვერდერს" 1994 წელს ჩემპიონთა ლიგის მატჩში „პორტუსთან" წაუგია.

„მერვედფინალში ყველაფერი ორ მატჩში წყდება, ამიტომ მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, რაც ვერ მოვახერხეთ" — აღნიშნა ისმაელმა, ხოლო კლაუს ალოფსმა თქვა: „ხუთი წლის წინ უეფას თასზე „ლიონს" მოვუგეთ. მას შემდეგ ეს ფრანგული გუნდი სულ ევროთასებზეა და სამჯერ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. ამ ხნის განმავლობაში გამოცდილება დააგროვეს და ჩვენც სწორედ დრო გვჭირდება, რომ მეტი ვისწავლოთ".

„ვერდერის" ფრანგი იოან მიკუ „ლიონის" თამაშით მოიხიბლა: „ისინი ფინალში გასვლას იმსახურებენ. ძალიან ტექნიკური გუნდია და შეტევა აშკარად ეხერხებათ. ბევრს ვერაფერს ვიტყვი ამ მატჩის თაობაზე. ჩვენ ოთხი გოლის გატანა გვჭირდებოდა და მერვე წუთზე აქეთ გავუშვით. ლიონელებს ასეთ ტურნირზე თამაშის გამოცდილება აშკარად ეტყობათ, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ორრაუნდიანი მატჩის ბედი".

**მაშა ხუციშვილი**



სილვენ ვილტორდმა ბრემენელებს სამი გოლი გაუტანა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

## რონალდინიო ჩელსის ვერ მჯო

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი“. 41 515 მაყურებელი

**ჩელსი 4:2 ბარსელონა (1:2)**

1:0 გუდიონსენი (8), 2:0 ლამპარდი (17), 3:0 დაფი (19),
3:1, 3:2 რონალდინიო (27პ, 38), 4:2 ტერი (76)

| ჩელსი | ბარსელონა |
|---|---|
| ჩეხი, პ. ფერეირა (ჯონსონი 51), ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, კეჟმანი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული, დაფი (ჰათი 86), გუდიონსენი (ტიაგუ 79) | ვ. ვალდესი, ბელეტი (ჟიული 84), პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 46), ხავი, ხერარდი, ინიესტა (მაქსი ლოპესი 86), დეკო, რონალდინიო, ეტოო |
| მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ | მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი |

გაფრთხილება: ფერეირა (26), ვან ბრონკჰორსტი (29), ხავი (68), კეჟმანი (83), ჯონსონი (84)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

დიდი მატჩი — ორი სიტყვით ასე შეიძლება მოვნათლოთ გუშინწინდელი „ჩელსი“ — „ბარსელონა“. მაგრამ განა ორი სიტყვით, თუნდ ორი საგაზეთო გვერდით შეიძლება გამოხატო ის ვნებათაღელვა და აღწერო ის საფეხბურთო მინი-სპექტაკლები, „სტემფორდ ბრიჯის“ მრავლისმნახველმა მოედანმა რომ ნახა? ცხადია, მეტად საძნელო საქმეა და ამის გაკეთებას არც ვაპირებთ, უბრალოდ, ქვემოთ შევეცდებით ემოციადაცლილებმა მატჩის მიმოხილვა შემოგთავაზოთ.

ნამატჩევს კატალონიელთა მწვრთნელმა ფრენკ რაიკარდმა დაიჩივლა, მიუტევებელი შეცდომების გამო დავისაჯეთო, მაგრამ ის კი აღარ უთქვამს, ისეთი დონის გუნდი, როგორიც „ბარსელონაა“, მართლაც ბავშვურ შეცდომებს რომ არ უნდა უშვებდეს. ხოლო „ჩელსი“ ის გუნდია, მეტოქის შეცდომებს სათავისოდ რომ იყენებს და გამოიყენა კიდეც — მე-19 წუთზე ლონდონელები 3:0-ს იგებდნენ. ჯერ იყო და, ხავიმ მოედნის ცენტრში უწყინარ ვითარებაში დაკარგა ბურთი, რომელიც ფრენკ ლამპარდმა მოიგდო, დაუხანებლად ფლანგზე გაჭრილ ჯო კოულს გადააწოდა, კოულმაც ვან ბრონკჰორსტს ჩაუდრიბლინგა და „ბარსას“ საჯარიმოში შეჭრილ ეიდურ გუდიონსენს გადააწოდა, ისლანდიელს ხელი ვერავინ შეუშალა და 1:0. ცხრა წუთში კვლავ ჩაფლავდა კატალონიელთა დაცვა, ჯო კოულის დარტყმული ვალდესმა კი მოიგერია, მაგრამ გამოვარდნილ ბურთს ფრენკ ლამპარდმა მიუსწრო და შეაგდო. ორიოდ წუთში ბარსელონელებმა ისევ მოედნის ცენტრში დაკარგეს ბურთი და მასპინძელთა უსწრაფესი კონტრშეტევა მესამე გოლით დასრულდა.



REUTERS

პირველი გოლი: ეიდურ გუდიონსენის დარტყმა ვიქტორ ვალდესმა ვერ მოიგერია

ასეთ დასაწყისს ალბათ არავინ ელოდა, ასეთი დასაწყისის მერე ნებისმიერი გუნდი გატყდებოდა, მაგრამ არ დანებდა „ბარსა“, უფრო სწორად, არ დანებდა მისი ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდინიო. მატჩის პირველი ნახევარი 3:2 რომ დასრულდა, სწორედ რონალდინიოს დამსახურებაა — პენალტით გატანილს ბრაზილიელმა 38-ე წუთზე ისეთი გოლი მიაყოლა, მისი სიტყვით აღწერა შეუძლებელია.

მეორე ტაიმში რაიკარდმა ვან ბრონკჰორსტის ნაცვლად სილვინიო შეუშვა, ეტყობა, მცველებსაც მეტი ყურადღებით თამაში მოსთხოვა. „ბარსა“, მართალია, უტევდა, თუმც ზურგს აღარ იშიშვლებდა. უტევდა „ჩელსიც“, მაგრამ თამამად ვეღარ. ამის მიუხედავად, ორივე გუნდმა შექმნა საგოლე მომენტები. 74-ე წუთზე ლონდონელთა საჯარიმოში შეჭრილი ინიესტას დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა, რომელიც ხუთიოდ მეტრში მდგარ სამუელ ეტოოს მოუვიდა, კამერუნელის ზუსტ გასროლას მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, „ბარსას“ ფორვარდმა კი შეუძლებელი შეძლო — ბურთი კარს გადააცილა. ამ მომენტიდან ორიოდ წუთში მოხდა ის, რამაც „ჩელსის“ ფანობა სიხარულისგან გადარია, „ბარსას“ ინჩასობას კი გული მოუკლა. ნაკუთხურიდან ბურთს „არისტოკრატთა“ კაპიტანმა ჯონ ტერიმ საგოლედ უთავაზა. გუშინდელი ესპანური პრესა ამ გოლის სამართლიანობას არჩევდა — საქმე ისაა, რომ კუთხურისას „ბარსას“ მეკარე ვიქტორ ვალდესის წინ მასპინძელთა მცველი კარვალიუ აისვეტა, ესპანელთა აზრით, ის გოლკიპერს ხელს უშლიდა და გოლი არ უნდა ჩათვლილიყო.

გოლი ჩაითვალა და „ჩელსი“ მეოთხედფინალში, დამსახურებულადაც. „ბარსელონამ“ ვერ მოახერხა სასურველი ანგარიშის შენარჩუნება — იგივე ესპანური პრესის აზრით, რაიკარდმა მეორე ტაიმში გუნდის გადაწყობა ვერ შეძლო და ამიტომაც დაისაჯა — ამტკიცებენ ჩვენი კოლეგები. ნამატჩევს კი ჟოზე მაურინიუ ზეიმობდა, ნამატჩევს ბევრი სკანდალური ამბავიც მოხდა, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ.

**სოსო ძოტორეიშვილი**

# მატჩის შემდგომ





REUTERS

ფრანკ რაიკარდი ჩემპიონთა ლიგას გამოაკლდა, ჟოზე მაურინიუ კი შემდეგ მეტოქეს ელის

## სუნთქვის დროის გარეშე

| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 16:05 | 582 | ბლეკბერნი-ლესტერი | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 19:00 | 585 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 581 | ლარისა-ქსანთი | 2.6 | 3.1 | 2.4 | 1.41 | 1.24 | 1.35 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 569 | რუსენბორგი-მალმიო | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 22:30 | 570 | გიოტებორგი-ბრანი | 1.85 | 3.4 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 575 | კილმესი-სტრონგესტი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 23:45 | 576 | ამერიკა-ატლეტიკო პრ | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 512 | ჰამბურგი-კიოლნი | 2.0 | 4.3 | 2.2 | 1.36 | 1.04 | 1.45 |
| 21:30 | 513 | მანჰაიმი-აუგსბურგი | 1.95 | 4.2 | 2.5 | 1.33 | 1.09 | 1.56 |
| 21:30 | 514 | იზერლონი-კასელი | 1.95 | 4.2 | 2.5 | 1.33 | 1.09 | 1.56 |
| 21:30 | 515 | კრეფელდი-დიუსელდორფი | 1.8 | 4.3 | 2.8 | 1.26 | 1.09 | 1.69 |
| 21:30 | 516 | აისბარენი-ინგოლშტადი | 1.8 | 4.3 | 2.7 | 1.26 | 1.08 | 1.65 |
| 21:30 | 517 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.35 | 4.5 | 5.3 | 1.03 | 1.07 | 2.43 |
| 21:30 | 518 | ჰანოვერი-ფრანკფურტი | 2.5 | 4.2 | 1.9 | 1.56 | 1.07 | 1.3 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 13:00 | 546 | დინამო-სპარტაკი | 1.15 | 6.5 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.58 |
| 13:00 | 547 | მაგნიტოგორსკი-ლოკომოტივი | 1.6 | 4.5 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.87 |
| 13:00 | 548 | ავანგარდი-სიბირი | 1.15 | 6.0 | 8.5 | 1.0 | 1.01 | 3.51 |
| 13:00 | 549 | სევერსტალი-ნეფტეხიმიკი | 2.1 | 4.5 | 2.2 | 1.43 | 1.07 | 1.47 |
| 13:00 | 550 | აკ-ბარსი | 5.0 | 4.5 | 1.3 | 2.36 | 1.03 | 1.0 |
| 13:00 | 551 | ხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.6 | 4.5 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.87 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10408 | ლილი-ოსერი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10409 | შახტარი-ალკმაარი | 2.35 | 2.0 | 4.3 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10410 | პარტიზანი-ცსკა | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10411 | სევილია-პარმა | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |
| 10412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.2 | 2.0 | 2.95 | 1.23 | 1.53 | 1.19 |
| 10414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10420 | ავსტრია-სარაგოსა | 2.9 | 2.1 | 3.0 | 1.21 | 1.47 | 1.23 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13408 | ლილი-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13409 | შახტარი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 13410 | პარტიზანი-ცსკა | 1.7 | 1.9 |
| 13411 | სევილია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14408 | ლილი-ოსერი | 1.75 | 2.1 |
| 14409 | შახტარი-ალკმაარი | 1.65 | 2.2 |
| 14410 | პარტიზანი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 14411 | სევილია-პარმა | 1.45 | 2.3 |
| 14412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.75 | 2.1 |
| 14413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.9 | 1.9 |
| 14414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.65 | 2.3 |
| 14420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15408 | ლილი-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15409 | შახტარი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15410 | პარტიზანი-ცსკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15411 | სევილია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15420 | ავსტრია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12408 | ლილი-ოსერი | 1.55 | 2.2 |
| 12409 | შახტარი-ალკმაარი | 1.9 | 1.7 |
| 12410 | პარტიზანი-ცსკა | 1.6 | 2.1 |
| 12411 | სევილია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.6 | 2.1 |
| 12413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.6 | 2.1 |
| 12414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.6 | 2.1 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11408 | ლილი-ოსერი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11409 | შახტარი-ალკმაარი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11410 | პარტიზანი-ცსკა | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11411 | სევილია-პარმა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.8 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11420 | ავსტრია-სარაგოსა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |

## რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18408 | ლილი-ოსერი | 1.8 | 1.9 |
| 18409 | შახტარი-ალკმაარი | 1.5 | 2.05 |
| 18410 | პარტიზანი-ცსკა | 2.2 | 1.45 |
| 18411 | სევილია-პარმა | 1.45 | 2.35 |
| 18412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.0 | 1.6 |
| 18413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.0 | 1.2 |
| 18414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.65 | 2.0 |
| 18420 | ავსტრია-სარაგოსა | 2.5 | 1.4 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16408 | ლილი-ოსერი | 1.4 | 2.3 |
| 16409 | შახტარი-ალკმაარი | 1.25 | 3.0 |
| 16410 | პარტიზანი-ცსკა | 1.6 | 1.85 |
| 16411 | სევილია-პარმა | 1.2 | 3.3 |
| 16412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.4 | 2.4 |
| 16413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.85 | 1.65 |
| 16414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.3 | 2.55 |
| 16420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.6 | 1.9 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17408 | ლილი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | შახტარი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | პარტიზანი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17411 | სევილია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | ავსტრია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მეგობრობის ელჩი კალათბურთი

## ქართულმა ავიაციამ კიევს ვერ გადაუფრინა



**ამ უქმეებზე კიევში საქართველოს საელჩოს თაოსნობით ოთხთა ტურნირი გაიმართა, რომელშიც სამ უკრაინულ კლუბთან ერთად თბილისური „მაკაბიც" მონაწილეობდა. თუმც უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ეს იყო „მაკაბისა" და „ავიამშენის" გაერთიანებული გუნდი, რომელსაც ჯამლეტ ხუხაშვილი და ვაჟა მხეიძე წვრთნიდნენ. ქართველები ფინალში გავიდნენ, მაგრამ უკრაინაში საქართველოს ელჩის, ბატონი გია ქათამაძის მიერ დაწესებულ თასს ვერ შესწვდნენ. „ავია-მაკაბი" უკრაინის ჩემპიონთან, ევროპული კლასის გუნდ „ბკ კიევთან" 4 ქულით დამარცხდა. თუმც ისიც სათქმელია, რომ უკრაინის სიამაყე დუბლშემადგენლობით თამაშობდა. უკრაინული ამბები გიორგი ნიკოლაძეს, „ავიამშენის" მარდ გამთამაშებელს გამოვკითხეთ...**

— სამწუხაროდ, ფინალი ვერ მოვიგეთ, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ტურნირი ამხანაგური იყო და თან უკრაინაში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული.

**— კი, მაგრამ გამარჯვებას სულ სხვა გემო ექნებოდა...**

— რა თქმა უნდა, მოგება ყველას ძალიან გვინდოდა, მაგრამ წაგებამაც დიდად არ დაგვწყვიტა გული. ჩვენი მეტოქე ხომ „ბკ კიევი" გახლდათ, რომელიც უკრაინის მოქმედი ჩემპიონია და ფიბა-ევროლიგაზეც წარმატებით თამაშობს.

**— კიეველები ალბათ არ ითამაშებდნენ ოპტიმალური შემადგენლობით. ისინი ახლა ორ ფრონტზე იბრძვიან და ზედმეტ დატვირთვებს მოერიდებოდნენ...**

— ეგ თავისთავად. „ბკ კიევი" ძირითადად რეზერვისტებით იყო დაკომპლექტებული, სამაგიეროდ, ვინც შემადგენლობაში ჰყავდა, ისინიც არანაკლებ ძლიერები იყვნენ. კიეველებს ოთხი 220 სანტიმეტრს აცილებული ახალგაზრდა ჰყავდა, რომლებსაც, როგორც იქაურები ამბობენ, უკვე ნბა-ს გუნდებთან აქვთ წინასწარი შეთანხმება გაფორმებული.

**— მერე არ გაგიჭირდათ ასეთ გოლიათებთან თამაში?**

— რომ გაგვიჭირდა, იმიტომაც წავაგეთ. თუმც ვერც იმას ვიტყვი, უშანსოდ ვიყავით-მეთქი. ყველაფერი ბოლო წუთზე გადაწყდა, სირენამდე 35 წამით ადრე 3 ქულას ვაგებდით და შორი სროლა გავაცუდეთ. მერე ტაქტიკურად დავჯარმდით და მეტოქემ ორიდან ერთი საჯარიმო ჩაგვიგდო, რითაც თამაშის ბედიც გადაწყვიტა — 80:84 წავაგეთ.

**— კიეველებს ალბათ ქომაგებიც უმაგრებდნენ ზურგს...**

— ტურნირი დარბაზ „მერიდიანში" ჩატარდა და საკმაო მაყურებლებიც მოიზიდა, თუმცა [illegible] ტყვი, კიეველებს ქომაგ[illegible] ლაო. იყვნენ ბლომად ქართველებიც, ასევე ოფიციალური პირებიც უკრაინაში საქართველოს საელჩოდან. ფინალს დაესწრო საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი დავით ბეჟუაშვილი. ერთი სიტყვით, გულშემატკივარი არც ჩვენ გვაკლდა, მაგრამ მაინც მასპინძლებმა იმარჯვეს.

**— ფინალში გასასვლელი მატჩი ვის მოუგეთ?**

— უკრაინის პირველი ლიგის ლიდერთაგან კიევის მსუბუქი მრეწველობის გუნდს. ძალიან იოლად დავამარცხეთ — 100:83.

**— ძირითადად რომელი გუნდის წევრები თამაშობდით — „ავიამშენის" თუ „მაკაბის"?**

— რა თქმა უნდა, ორივე გუნდის წევრები. მე, დავით ბერიძნიშვილი, გოჩა წოწელია, გიგა კასაკიძე და ზურა ბადრიძე ყველამ ნორმალურად ითამაშა, თავი არავის შეურცხვენია.

**— ისე დაემთხვა, რომ კიევიდან დაბრუნებულებს ერთმანეთთან მოგიწიათ თამაში...**

— ჰო, ამ წუთებში დამთავრდა „ავიამშენისა" და „მაკაბის" შეხვედრა, რომელიც ჩემმა გუნდმა მოიგო 115:72. თითქოს არაფერია, მაგრამ კიევში ნათამაშებმა ორმა მატჩმა გარკვეული გამოცდილება შეგვძინა. ვნახეთ, როგორ თამაშობენ უკრაინული გუნდები და კარგს, ცხადია, ჩვენც გადმოვიღებთ.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს ჩემპიონატი

# პოსტუკრაინული თამაშობა

## თორთლაძის ცხრა ლახვარი

9 მარტი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 115:72 მაკაბი**

29:19 31:20 27:19 28:14

**ავიამშენი:** თოთლაძე (35), ხოშტარია (6), ორმოცაძე (4), ბ. ნოზაძე (8), ბერძენიშვილი (11); ნიკოლაძე (20), ბოლქვაძე (10), შენგელია (10), მოსეშვილი (6), წოწელია (5), დოლიძე

**მაკაბი:** ბადრიძე (20), კორკოტაძე (6), შერმადინი (7), ფიცხელაური (22), ვაშაკიძე (15); მერაბიშვილი (2)

**მსაჯები:** ლიკა ქაჯაია, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**გუშინ** ვერის ბაღში „ავიამშენისა" და „მაკაბის" გადადებული მატჩი გაიმართა. ეს შეხვედრა 6 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ საპატიო მიზეზის გამო გადაიდო.

როგორც მოგეხსენებათ, ამ გუნდების გაერთიანებული შემადგენლობა კიევის ოთხთა ტურნირზე გაემგზავრა, საიდანაც ორშაბათს დაბრუნდა და ორ დღეში ის გადადებული მატჩიც ჩათამაშდა.

ჩათამაშდაო, შემთხვევით არ გვითქვამს, რაკი ამ შეხვედრის შედეგი წინდაწინ გახლდათ ცნობილი. მიზეზი „მაკაბის" და „ავიამშენს" შორის კლასში არსებული სხვაობაა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ანუ ლევან მოსეშვილის „ავიაცია" რომ გაიმარჯვებდა, ყველას კარგად მოეხსენებოდა.

მაყურებელიც ბევრი არ მოსულა... ცენტრალურ მატჩებს უჭირს ვერის ბაღის დარბაზის თუნდაც მეოთხედის შევსება და „მაკაბი" „ავიამშენის" ბურთაობისთვის ამ სამუშო დღეს ვინ მოიცლიდა...

ასე იყო თუ ისე, თამაში ჩატარდა და „ავიატორთა" 43-ქულიანი გამარჯვებაც დაფიქსირდა. ლევან მოსეშვილის სამწყსომ არ დაინდო ის ხალხი, რომელთანაც ერთდ ორი დღის წინ კიევი — თბილისის სარეისო თვითმფრინავში იჯდა და ვის მხარდამხარაც უკრაინულ გუნდებს გაეჯიბრა. იქნებ „ავიამშენის" წევრები მაკაბელების მეგობრებიც არიან, მაგრამ სპორტული პრინციპი შეუბღალავია და ლევან მოსეშვილის გუნდმაც მორიგი გამარჯვება მიითვალა.

ერთადერთი ეპიზოდი, როცა „მაკაბი" ლიდერობდა, თამაშის დასაწყისში იყო. ზურაბ ბადრიძის სამქულიანითა და გივი ვაშაკიძის ორიანით ჯამლეტ ხუხაშვილის სამწყსო 5:0-ს იგებდა, თუმცა მერე „ავიაციამ" ძალა მოიკრიბა და მეტოქეს ხელი მალევე მოუთავა. დავით თორთლაძემ სულ სამქულიანი „ყუმბარები" დაუშინა „მაკაბის" და საბოლოოდ 35 ქულაც მოუგროვდა. „თორთლას" ანგარიშზე 9 სამქულიანი იყო.

თამაშის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა „ავიამშენის" ლიდერობამ 30 ქულას მიუკაკუნა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

8 მარტი

**ფილადელფია 85:104 გოლდენ სტეიტი**

**ფილადელფია:** აივერსონი (33), იგუდალა (6), კორვერი (13), ვებერი (8), დალამბერი (6); როჯერსი (10), ჯექსონი (5), მაკი (2), გრინი (2), ჯ. დევისი, ოლი

**გოლდენ სტეიტი:** ფიშერი (11), რიჩარდსონი (22), დანლივი (21), მერფი (17), ფოილი (5); პიეტრუსი (14), ბ. დევისი (9), *ცქიტიშვილი* (2 წუთი, 3 ქულა), ჩაბარკაპა (2), ბიედრინსი, ვაიტი

**მილუოკი 105:101 ატლანტა**

**მილუოკი:** რედი (21), უილიამსი (22), მეისონი (22), ჯოშ სმიტი (19), გაძურიჩი (6); ფაიზერი (10), კუკოჩი (5), სტრიკლენდი, *ფაჩულია* (12 წუთი, 5 მოხსნა)

**ატლანტა:** ლუ (27), ეკეზი (14), ჩაილდრესი (13), ჰარინგტონი (19), ჯეიარ სმიტი (6); დრობნიაკი (10), გუგლიოტა (6), დიავი (2), სმიტი (2), აივი (2), სტიუარტი

**კლივლენდი 111:92 ორლანდო**

**კლივლენდი:** ჯეიმის (23), გუდენი (23)

**ორლანდო:** ფრენსისი (21), ნელსონი (17)

**ნიუ იორკი 93:83 ვაშინგტონი**

**ნიუ იორკი:** კრაუფორდი (19), კ. ტომასი (15)

**ვაშინგტონი:** ჰიუზი (27), არენსი (23)

**მინესოტა 102:97 შარლოტი**

**მინესოტა:** გარნეტი (30 ქულა, 15 მოხსნა), სპრიუელი (21)

**შარლოტი:** ბრეზეცი (20), კაპონო (15)

**სან ანტონიო 90:74 ნიუ ჯერსი**

**სან ანტონიო:** ბრაუნი (22), დანკანი (19)

**ნიუ ჯერსი:** კრსტიჩი (19 ქულა, 9 მოხსნა)

**იუტა 83:89 ინდიანა**

**იუტა:** ჰარპრინგი (18), ოქური (18)

**ინდიანა:** ჯექსონი (30), მილერი (30)

**საკრამენტო 85:82 მემფისი**

**საკრამენტო:** ბიბი (26), სტოიაკოვიჩი (19)

**მემფისი:** კარდინალი (15)

**სიეტლი 95:97 ჰიუსტონი**

**სიეტლი:** ალენი (32), ლუისი (26)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (35), მინგი (22)

**ლეიკერსი 101:110 კლიპერსი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (41), ოდომი (20)

**კლიპერსი:** მეჯიტი (30), ბრენდი (22 ქულა, 15 მოხსნა)




**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 31 | 29 | 51,7 |
| ფილადელფია | 29 | 32 | 47,5 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 35 | 42,6 |
| ტორონტო | 25 | 35 | 41,7 |
| ნიუ იორკი | 26 | 34 | 43,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 36 | 22 | 62,1 |
| კლივლენდი | 32 | 27 | 54,2 |
| ჩიკაგო | 30 | 27 | 52,6 |
| ინდიანა | 30 | 30 | 50,0 |
| მილუოკი | 25 | 34 | 42,4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 46 | 16 | 74,2 |
| ვაშინგტონი | 33 | 26 | 55,9 |
| ორლანდო | 31 | 28 | 52,5 |
| შარლოტი | 12 | 46 | 21,1 |
| ატლანტა | 10 | 49 | 17,2 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 47 | 13 | 78,3 |
| დალასი | 39 | 20 | 66,1 |
| ჰიუსტონი | 35 | 25 | 58,3 |
| მემფისი | 34 | 26 | 56,7 |
| ნიუ ორლეანი | 13 | 46 | 22,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 41 | 18 | 69,5 |
| დენვერი | 31 | 29 | 51,7 |
| მინესოტა | 31 | 30 | 50,8 |
| პორტლენდი | 22 | 36 | 37,9 |
| იუტა | 20 | 40 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 46 | 14 | 76,7 |
| საკრამენტო | 38 | 24 | 61,3 |
| ლეიკერსი | 30 | 29 | 50,8 |
| კლიპერსი | 27 | 34 | 44,3 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 41 | 31,7 |

# ბაკურ გოგიტიძე: მე ისევ პრეზიდენტი ვარ



ბაკურ გოგიტიძე

**ბაკურ გოგიტიძე** საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად სულ რამდენიმე თვის წინათ აირჩიეს, მაგრამ მის ერთ-ერთ ინიციატივას, როგორც არაერთხელ ვწერდით, ორივე ნაკრების უფროს მწვრთნელთა განთავისუფლება მოჰყვა, რამაც თავად მოჭიდავეთა ჯანყი განაპირობა.

ერთი სიტყვით, აქამდე ერთ მუშტად შეკრულ „მოჭიდავეთა ოჯახში" კონფლიქტი წარმოიშვა. ამას ბაკურ გოგიტიძის უფლებამოსილების შეწყვეტა, ხოლო განთავისუფლებული მწვრთნელების აღდგენა მოჰყვა.

მაგრამ აი, გუშინ ბაკურ გოგიტიძემ ფალავანთა კლუბში ჟურნალისტებსაც გვიხმო, პრეზიდიუმის წევრებსაც და ვეტერან მოჭიდავეებსაც.

როგორც გოგიტიძემ გვითხრა, იგი არავის მოუხსნია.

პრესკონფერენციაზე ნათქვამს თუ დავეყრდნობით, ფედერაციის პრეზიდიუმის წევრთა ნაწილმა, სულ თერთმეტმა ადამიანმა, მართლაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, თუმცა მის ამგვარ ქმედებას არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს და შესაბამისად გადაწყვეტილება არალეგიტიმურია, რაც პრეზიდიუმის იქ მყოფმა წევრებმაც დაადასტურეს.

ბაკურ გოგიტიძემ პრეს-კონფერენცია იმით დაიწყო, რომ თუ რაიმეში შევცდი, ამისთვის ბოდიში მომიხდიაო და ისიც განაცხადა, როცა საერთო საქმისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა საჭირო იქნება, უკან არასოდეს დავიხევო. ისიც აღნიშნა, რომ ჭიდაობის ფედერაციის მესვეურთ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ და უახლოეს მომავალში ყველა გაუგებრობას მოეღება ბოლოო.

სამწუხაროდ, ამ შეკრებას სწორედ ის მხარე არ ესწრებოდა, რომელიც გოგიტიძეს ოპონირებდა, თუმცა, როგორც ბაკურ გოგიტიძემ განმარტა, საგანგაშო არაფერია, რადგანაც მზადაა, ნებისმიერ მომენტში შეხვდეს თითოეულ მათგანს, ხელი ჩამოართვას და შერიგების ნიშნად გადაეხვიოს.

ასე იქნება თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ბოლოს ისიც გვაცნობეს, რომ უკრაინაში ვიზიტისას ბაკურ გოგიტიძემ რამდენიმე საქმიანი შეხვედრა გამართა „ადიდასის" წარმომადგენლებთან და მომავალში ჩვენს ფალავნებს სწორედ ეს ფირმა შემოსავსო.

**ლადო ფულუკიძე**



## საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე

### თბილისი. სტუ-ს დარბაზი

„ბ" ქვეჯგუფი, 9 მარტი

**საუ-მამული 34:21 ჭაბუკები**

**საუ-მამული:** რობაქიძე, ხონელიძე, წივწივაძე (გაიტანა 15 გოლი), კობახიძე (7), ღალანიძე (4), მაისურაძე (3), ცოტაძე (2), სიხარულიძე (1), გელაშვილი (1), შონია (1), ჭელიძე, ხუციშვილი, ყაველაშვილი, ოსიყმაშვილი

**ჭაბუკები:** კუპატაძე, პაპავა, გიგა ტორონჯაძე, მელქოშვილი (9), მსხვილიძე (5), გიორგი ჩიქოვანი (4), ჯორბენაძე (2), ირაკლი ჩიქოვანი (1), ირაკლი ტორონჯაძე, კაიშაური, ჯოხარიძე, ზაალიშვილი, წულაძე, ფერაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი

**ქუთაისი 30:20 სამტრედია**

**ქუთაისი:** ხინგავა, ნიქაბაძე, ჩუბინაშვილი (11), მამასახლისი (9), დოლაკიძე (4), ცერცვაძე (3), გობეჯიშვილი (3), მამაცაშვილი, შარაშენიძე, გოგონაძე, აბულაძე

**სამტრედია:** ბერეკაშვილი, ჯოჯუა (7), ქავზინაძე (3), ხელისუფალი (3), კაკაბაძე (3), ნიკურაძე (2), დუნდუა (1), კარაკაშიანი (1), ბოცვაძე, ხვიჩია, ლომსაძე, ჯულაყიძე, ჭანტურია, ხარებავა

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი



გიორგი წივწივაძე (მარჯვნივ) გუშინ საუკეთესო იყო

# მამული გაძლიერდა

**ბათუმელ** ხელბურთელთა ჩამოუსვლელობით დაზარალებულ-დამოკლებული ტური გუშინ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულის" და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის ჭაბუკთა გუნდის მატჩით დაიწყო.

პირველ რიგში შემადგენლობებში საშიეთან შეუბულებისას მომხდარ ცვლილებებზე უნდა ითქვას.

მამულელებს დიდი ძალა შეემატათ ირანიდან დაბრუნებულ გიორგი წივწივაძის სახით. 22 წლის ფორვარდი თავრიზის „ბელედიე შაჰ თარის" ღირსებას იცავდა, რომელიც უმაღლესი ლიგის 14 კლუბს შორის მეშვიდე ადგილზე გავიდა. გიორგი თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო, ხელმძღვანელობაც მისი თამაშით კმაყოფილია და ზაფხულში ახალი კონტრაქტის გაფორმებას იმედია, წინ არაფერი დაუდგება.

ჭაბუკთა გუნდში ცვლილება უფროსობას შეეხო. ბიჭებს ბექა ორჯონიკიძესთან ერთად მერაბ მეტრეველი გაწვრთნის — საქართველოს 1988 წელს დაბადებულ ხელბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მიზეზი ისაა, რომ ნაკრების ბირთვს სწორედ სკოლელები შეადგენენ, გუნდს კი უკვე წლეულს ზაფხულში მოსკოვის ტრადიციულ ჭაბუკთა თამაშებში მოუწევს გამოსვლა, გაისად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია.

მშვენიერი თამაში გამოვიდა — ტექნიკური კომბინაციებით, სწრაფი გარღვევებით და ეფექტური ტყორცნებით. სკოლელები ძალიან კი ეცადნენ, მაგრამ, ბუნებრივია, უფროს და ბევრად გამოცდილ მეტოქეებთან ვერაფერს გახდნენ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე „საუ-მამულის" კაპიტანი გიორგი წივწივაძე იყო, არა მხოლოდ 15 გატანილი გოლის გამო.

„ქუთაისი" — „სამტრედიის" შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყო. მოთამაშეებმა და მაყურებლებმა პატივი მიაგეს 35 წლის ასაკში გარდაცვლილ სამტრედიელთა მეკარის ალეკო კიკნაძის ხსოვნას.

საპრიზო სამეულისთვის მებრძოლ ქუთათურებს მატჩის მოგება არ გასჭირვებიათ. აღსანიშნავია, რომ სამტრედიელთა სნაიპერმა მერაბ ჯოჯუამ პირველი წრის 65 გოლს შვიდი მიუმატა და საუკეთესო მეგოლეთა ათეულშია.

**გია ახალაძე**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 12 | 0 | 1 | 429:296 | 24 |
| თბილისი | 11 | 1 | 1 | 361:290 | 23 |
| ქარიშხალა | 8 | 1 | 4 | 384:352 | 17 |
| თელავი | 7 | 0 | 6 | 348:325 | 14 |
| ქუთაისი | 6 | 1 | 3 | 330:294 | 13 |
| საუ-მამული | 5 | 1 | 4 | 370:289 | 11 |
| ჭაბუკები | 3 | 0 | 7 | 232:293 | 6 |
| ბათუმი | 1 | 1 | 8 | 226:297 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 8 | 236:338 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 13 | 267:426 | 0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ათდღედამიანი მატჩის შედეგი: 2254 შაიბა აქეთ, 2203 შაიბა იქით

**NHL-ში** ლოკაუტით გამოწვეული სიცარიელის შევსება კანადელებმა ერთი უცნაური მატჩის გამართვით განიზრახეს. განიზრახეს და შეავსეს კიდეც.

ცოტაც და „ჩიკაგო ბლეკჰოკსის" ყინულის სასახლის შესასვლელთან რომ ჰოკეისტთა ჯგუფის ქანდაკებაა, ეს ჩვენი ბიჭებიც მათსავით გაშეშდებოდნენო, ხუმრობით ამბობდნენ კანადაში, ედმონტონთან ახლოს მდებარე პროვინცია ალბერტაში შერვუდ პარკის ტერიტორიაზე გამართული ჰოკეისტთა უცნაური მატჩის მაყურებლები.

ამ მატჩის მონაწილენი ყინულის მოედნიდან არ გადიოდნენ მთელი 240 საათის განმავლობაში და მას მხოლოდ მაშინ ტოვებდნენ, როცა ჰოკეის წესებისამებრ სარდიელზე სხვა ხუთეული გამოდიოდა.

ღია ცისქვეშ გამართულ ამ მატჩს ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო და როდესაც ღამის პირველ საათზე გინესის წიგნის რეკორდებში აღნიშნული ყველაზე ხანგრძლივი ჰოკეისტთა მატჩის რეკორდი დაემხო, მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდათ. სარბიელის ირგვლივ ცა ფოიერვერკმა გაანათა, მაგრამ ჰოკეისტები კვლავ აგრძელებდნენ თამაშს, რომელიც კიდევ ერთ დღეს გაგრძელდა. საბოლოო ჯამში, მათ შეუსვენებლად 240 საათი ანუ 10 დღეღამე ითამაშეს.

ამ შეხვედრის ორგანიზატორმა 36 წლის ოპტიკოსი ბრენტ საიკი გახლდათ, რომელიც ასეთი რეკორდების მონაწილე მანამდეც იყო. მისი და მისი თანაგუნდელების მიღწევა 82 საათი იყო, რაც მერე ონტარიოელებმა გააუმჯობესეს. ახლანდელი ბრენტ საიკმა მარათონული მატჩის დამთავრებისთანავე კორესპონდენტებს უთხრა:

„ყველაფერი, რაზეც ახლა მე ვფიქრობ, ისაა, რომ მამაჩემი და ჩემი ცოლი მაკვირდებიან".

ამ ერთი შეხედვით გამოუცნობი ფრაზის მიღმა ერთი პატარა საიდუმლო იმალებოდა — ბრენტის მამა 1991 წელს კიბოთი გარდაიცვალა, ხოლო მისი ცოლი შარშან ტვინის სიმსივნით აღესრულა.

ეს მატჩიც არა მხოლოდ ზამთრის მომაბეზრებელი ყინვებისაგან დასვენება და გართობა იყო, არამედ საქველმოქმედო შეხვედრაც, საიდანაც შემოსული თანხა კიბოს გამოკვლევების ფონდში ჩაირიცხა, რამაც 150 ათასი კანადური დოლარი შეადგინა.

ასე იყო თუ ისე, მატჩის შედეგ ყველას დააინტერესა, მის მონაწილე ჰოკეისტებს ძველებურად უყვართ თუ არა ეს თამაშიო. მატჩის ერთ-ერთი მონაწილე რომან კოლორი ამბობს, რომ ამ სიყვარულს ბზარი არ გაჩენია:

„მე მიყვარს ეს თამაში, მაგრამ ჩემ ფეხებს ის აღარ უყვართ. ფეხებს უბრალოდ ველარც კი ვგრძნობ, მაგრამ ეს მაინც საოცარული მატჩი იყო."

NHL ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი გამოდგა 1936 წელს სტენლის თასის გათამაშებაში „დეტროიტ რედ უინგზისა" და „მონრეალ მარუნზის" გუნდების შეხვედრა, რომელიც ძირითადი დროის გარდა კიდე 6 ოვერტაიმის განმავლობაში გაგრძელდა და ღამის 3-ის ნახევარზე დასრულდა.

სხვათა შორის, ამ მატჩში დეტროიტელმა ახალბედა მოდერ ბრიუნეტომ როცა ერთადერთი შაიბა ძლივს გაიტანა მეტოქის კარში, მხოლოდ ესღა თქვა: „მადლობა ღმერთს".

ამ მატჩს თავისი ხანგრძლივობით ძალზე მიუახლოვდა 2000 წელს გამართული „ფილადელფია ფლაიერზისა" და „პიტსბურგ პენგუინზის" გუნდების შეხვედრა, რომელშიც ხუთი ოვერტაიმი მოეწყო.

იმ მატჩში მოედანზე 59 წუთი დაჰყო სახელგანთქმულმა იარომირ იაგრმა, რომელმაც წონაში 3 კილოგრამი დაიკლო.

„შენ ველარც კი ხვდები, რომ ჰოკეის თამაშობ, შენ ციგურებით დასრიალობ, მაგრამ ზოგჯერ ამას ველარც კი ხვდები. შენს თავში მხოლოდ სიცარიელეა" — ასე დაახასიათა ჰოკეისტის მდგომარეობა მარათონულ შეხვედრაში იარომირ იაგრმა.

იმ მატჩის მონაწილე გულშემატკივრები იხსენებენ, პატარობის სანახავად ბევრნი პატარა ბავშვებით მოვიდნენ და ტრიბუნებზე მათ დაძინებას ათასნაირად ცდილობდნენო. ისინი თავს ალბათ იმიტომ იტანჯავდნენ, რომ ფიქრობდნენ, აი, სადაცაა ისტორიაში შევალთო.

**ავთანდილ ქუჩიშელი**

გარი კასპაროვმა ლინარესში მაიკლ ადამსს მეორე პარტიაც მოუგო და უშუალო მდევარ ვიშვანათან ანანდს 1,5 ქულით გაუსწრო. ინგლისელი დიდოსტატი, რომელსაც მეტსახელად ადამიან-ობობას ეძახიან, თეთრი ფიგურებით ძნელი დასამარცხებელია და ბევრი არც ელოდა, კასპაროვთან შეხვედრაში ასე იოლად თუ გაბითურდებოდა.

მეტოქეებმა ნაიდორფის ვარიანტით სიცილიური დაცვა გაითამაშეს და ინგლისელმა ხელმწიფის წინ კუები დააწყო. ალბიონელი მე-7 სვლამდე იმ ტაქტიკით თამაშობდა, რომელიც მე-8 ტურში ტოპალოვთან დაამუშავა, თუმც გარის ეს ყველაფერი კარგად ჰქონდა შესწავლილი და მეტოქეს იგივე სვლები აღარ გაამეორებინა.

შეგახსენებთ, რომ იმ პარტიაში თეთრებმა კუ e 2 უჯრაზე დასვეს, შავებმა მხედარი d 7-ზე, შემდეგ კი ადამსმა თავისებურად ყოჩაღად გააგრძელა და უპირატესობასაც დაეუფლა. ამჯერად კასპაროვმა ტაქტიკა შეცვალა და ადამსის კუ e 2-ს ლაზიერი c 7-ზე დაახვედრა. მეტოქეებმა ლაზიერის ფლანგიდან გააგრძელეს იერიშები, კასპაროვი მხედარ-პაიკით წავიდა თეთრების სიმაგრისკენ, ადამსმა კი მე-11 სვლაზე გრძელი როქი გააკეთა და ხელმწიფის ფლანგიდან პაიკით შეუტია რუსს. კასპაროვმა ძალები ლაზიერის მხარეს გადმოსხა, მე-7 სვლაზე როქი გააკეთა და თეთრი ხელმწიფის გამაგრებულ ალაგს მხედრებით შეუტია. ადამსმა კვლავ მეფის ფლანგზე განავითარა წამოწყებული შეტევა, წინ წასულ პაიკებს ზურგში ეტლები ამოუყენა და 21-ე სვლაზე რუსს პაიკით ქიში გამოუცხადა.

მოიერიშე პაიკი ხელმწიფემ მოკლა, ადამსმა კი მხედარი d 4-დან b 3-ზე გადასვა და საბედისწერო შეცდომაც დაუშვა — ამით კასპაროვს ცენტრი დაუთმო. რუსის მხედრებმა თავისუფლება იგრძნეს თუ არა, თეთრების სამფლობელოში შეინავარდეს, მუსრი გაავლეს ალბიონელის რაზმს და ლაზიერის დახმარებით 26-ე სვლაზე თეთრ მეფეს შამათიც გამოუცხადეს.

ძვირფასი ქულები დაკარგა ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა და ალბათ გამოეთხოვა კიდეც ლინარესულ ჯილდოს.

ინდოელმა ვალეხოსთან თამაში მხედარი f 3-ით დაიწყო, მეხუთე სვლაზე როქი გააკეთა და ლაზიერის ფლანგიდან შეუტია შავებს. აგრესიულად თამაშობდა ინდოელი, მასპინძელს მძიმე ძალებით უტევდა და თან გაცვლებსაც შეუდგა. ესპანელი არ შეუშინდა მრისხანე ინდოელის იერიშებს, მედგრად დაუხვდა და საკუთარ ტერიტორიაზე მოძრაობის საშუალება არ მისცა. მეტიც, 50-ე სვლაზე თითქმის მოსუფთავებულ დაფაზე ერთი პაიკით მეტი დაიტოვა. მეტოქეებმა დარჩენილი პაიკების გაყვანას შეუდგნენ, თუმც რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა ვალეხომ გამოცდილ ანანდს ვერ აჯობა და თითქმის მოგებული პარტია 67-ე სვლაზე ყაიმით დაასრულა.

მეოთხე პარტია წააგო ფიდეს ჩემპიონმა რუსტამ კასიმჯანოვმა და ალბათ წინა ტურების აშკარა აუტსაიდერ ვალეხოს ბოლო ადგილსაც წაართმევს.

**ლაშა გეგეჭკორი**

ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

# ადამსს კასპაროვთან ტოპალოვი არ გამოუვიდა

XII ტური

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0:1
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) 1:0
*პეტერ ლეკო (უნგრეთი) — დაისვენა*





თეთრი მხედრის d 4-დან b 3-ზე ნახტომმა ინგლისელი დაღუპა

| | |
|---|---|
| 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) | 7,5 ქულა/10 პარტია |
| 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 6.0/10 |
| 3. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 6/10 |
| 4. პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 5/10 |
| 5. მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 4.5/11 |
| 6. რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3.5/11 |
| 7. ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 3.5/10 |

# ფიშერმა ციხეში კვერცხებისთვის იჩხუბა, გარეთ კი გუდმუნდურმა დაიცვა

პლანეტის მე-11 ჩემპიონმა, ამერიკელმა ბობი ფიშერმა იაპონური ციხის კარცერში ოთხი დღე გაატარა და ამის მიზეზი თურმე ქათმის კვერცხები ყოფილა, რომელიც დიდოსტატს საუზმეზე არ მიართვეს. უკვერცხოდ დარჩენილ აღშფოთებულ ფიშერს ციხის ადმინისტრაციასთან კონფლიქტი მოუვიდა და მათაც იგი თავიანთი წესებით დასაჯეს.

სანამ ფიშერი ციხეში კვერცხების გამო ჩხუბობდა, გარეთ მასზე ისლანდიელებმა იზრუნეს და მსოფლიოს ექსჩემპიონს თავიანთ ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

„მისი პასპორტი უკვე იაპონიაშია და პატრონს ჩვენს საელჩოში ელოდება“ — განაცხადა ისლანდიის პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა გუდმუნდურ ტორარინსონმა, რომელმაც დიდოსტატი ორშაბათს ციხეში მოინახულა.

ტორარინსონი უკმაყოფილოა იაპონიის მთავრობით და ამბობს, რომ მოჭადრაკე უკანონოდ ჰყავთ პატიმრობაში. ციხეში ფიშერი მისმა საცოლემ, იაპონიის ექსჩემპიონმა, მოჭადრაკე მიიკო ვატაიმაც მოინახულა.

„იგი ცუდ დღეშია და როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ ძალასაც კარგავს“ — ამბობს ფიშერის სატრფო და ციხეში მომხდარ ინციდენტზე გვიამბობს:

„ფიშერმა ციხის მცველს ქათმის კვერცხები მოსთხოვა, მან კი უარი უთხრა და კამათიც ამიტომ მოუვიდათ. ხმაურზე მცველებიც მოცვივდნენ და ამ აყალ-მაყალში დიდოსტატმა ერთ-ერთს გაარტყა“.

ამასობაში აშშ ფიშერის გადაცემას ითხოვს. ამერიკელებმა მასზე ძებნა 1992 წლიდან გამოაცხადეს, როცა დიდოსტატმა იუგოსლავიაში დაწესებული საერთაშორისო სანქციები დაარღვია და იქ ტურნირზე ითამაშა. ამის შემდეგ ძებნილმა ფიშერმა უფრო გაირთულა მდგომარეობა, როცა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ტერაქტი მოხდა, ფიშერი ფილიპინურ რადიოში გამოვიდა და ტერორისტების ნამოქმედარს მიესალმა.

ფიშერს გულშემატკივრები პოლიტპატიმრად მიიჩნევენ და აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებიან.

„მასზე ისე საუბრობენ, როგორც საშიშ დამნაშავეზე, რაც აღმაშფოთებელია ჩვენთვის“ — ამბობს პოლიტიკური აქტივისტი გარდარ სვერისონი.

ისლანდიის ელჩმა ტორდურ ოსკარსონმა ბობი ფიშერის ადვოკატ მასაკო სუძუკის უკვე გადასცა პასპორტი, თუმც იაპონია ტუსაღის გათავისუფლებას არ ჩქარობს, რადგანაც აშშ-მა მას ახალი ბრალდება წაუყენა. ამერიკელები ფიშერს გადასახადების დამალვაშიც სდებენ ბრალს.



რობერტ ფიშერი

ჩოგბურთი

# დინარა — მარატის და



დინარა საფინას სამაგალითო პიროვნების მოსაძებნად შორს წასვლა არ სჭირდება. მისი უფროსი ძმა მარატი აქამდე ეგებ ყველაზე მშვიდი და დისციპლინირებული მეჩოგნე მართლაც არ იყო, მაგრამ მას არც წარუმატებელი ეთქმოდა როდესმე, ხოლო ბრძენ შვედ მწვრთნელ პიტერ ლენდგრენთან შეამხანაგების შემდეგ ტემპერამენტიც დაიურვა და სეზონიც ავსტრალიელის შთამბეჭდავი მოგებით დაიწყო.

მისი დაიკოს აქამომდელი მონაგარი შეუდარებლად მწირია და ეს უფრო მეტად აიძულებს 22 წლის გოგოს სამი წლით უფროსი ძმის გამოცდილებას დაეყრდნოს.

„ზოგჯერ ის ზედმეტად ხისტია, — ამბობს დინარა — მაგრამ რაკილა ვიცი, რომ ჩემთვის მხოლოდ კარგი უნდა, არასოდეს ვბრაზდები.“

„ის ყოველთვის მირჩევდა, ნაკლები მემოგზაურა დედასთან ერთად, თამაშის დროსაც ნაკლებ მესარგებლა მისი რჩევებით და — საერთოდაც, ჩემ თავზე უფრო მეტად თვითონვე მეზრუნა... ახლა მე ტურნირებზე მარტო დავდივარ, ეს კი თავისთავად მაიძულებს, უფრო მობილიზებული და კონცენტრირებული ვიყო. სხვათა შორის, დედაჩემსაც სწორედ ასეთი უნდოდა, რომ ვყოფილიყავი“.

დედა რაუზას, ვინაც მის გარდა თავის დროზე მარატსაც წვრთნიდა და სხვა სახელიანი რუსგოგონებიც — ანასტასია მისკინა და ელენა დემენტიევაც გაუწვრთნია, დინარა ახლახანს „გაექცა“. როგორც თავად ამბობს, ამით მათი ურთიერთობა მხოლოდ გაუმჯობესდა.

„ჩვენ მართლაც ძალიან დიდ დროს ვატარებდით ერთმანეთთან. ერთად ვცხოვრობდით, ერთად მივდი-მოვდიოდით, სულ ერთად ვიყავით. შედეგად — ერთმანეთი გვბეზრდებოდა და სულ უბრალო რამის გამო ვკინკლაობდით ხოლმე... ახლა კი ყველაფერი გაცილებით უკეთესადაა“.

სამკვირაო რეიტინგსიაში დინარა კარიერის უმაღლეს, 24-ე საფეხურზე დგას, თუმცა კარგად იცის, რომ აღმასვლის მიუხედავად რუსთა ბრწყინვალე საფედთასო ნაკრებში მის მოხმობას არავინ იჩქარებს.

„ჰო, შანსები მართლაც უმიზერულესი მაქვს. იქ რომ მოხვდე, ზეათეულში მაინც უნდა იყო. რუსებს სამი ნაკრები შეუძლია ჰყავდეთ — ზეათეულელთა, ზეოცეულელთა და ზეოცდაათეულთა. ამ მესამეში, ცხადია, მოვხვდებოდი, წედები კი უჩემოდაც გადიან ფონს“.

**არტემ ჩაჩანიძე**

# ოლიმპიური პარიზი

აი, ასეთი იქნება პარიზის სუპერდოუმი, თუკი საფრანგეთის დედაქალაქი 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელი შეიქნება. პარიზთან ერთად ამ ოლიმპიადის მასპინძლობა ლონდონს, ნიუ იორკს, მადრიდსა და მოსკოვს სურთ. სოკ-ის ემისრები კი ქალაქიდან ქალაქში დადიან და შემოთავაზებულ პროექტებს განიხილავენ.




REUTERS პარიზიდან



REUTERS ლენცერჰაიდედან

# დიდთოვლობა მსოფლიო თასზე

შვეიცარიულ ლენცერჰაიდეში სათხილამურო მსოფლიო თასის გათამაშება მიმდინარეობს. ოღონდაც, იმხელა თოვლი მოსულა, რომ ქალთა სწრაფდაშვების შეჯიბრი გადაუდვიათ. თოვლის საწმენდად კი ჯარი გამოუძახიათ.

# ჰონდა მალაზიაში

კუალა ლუმპურში ახალი სავაჭრო ცენტრი გაიხსნა და აქ საუკეთესო სარეკლამო რამედ „ჰონდას" საფორმულე ბოლიდი დააყენეს. ბევრიც არ დარჩა იმ დღემდე, როცა მალაიზიის დიდი პრიზი გათამაშდება. 20 მარტს საფორმულე სეზონის მეორე დიდი შეჯიბრია.




# ზე-ტაფელა

ინდოეთი და პაკისტანი თავიანთ პირველ საკრიკეტო ტესტში ებრძვიან ერთმანეთს. განთქმულ ინდო დურგალს, ვიშნუს კი 21 ფუტის სიგრძის საკრიკეტო ტაფელა გამოუთლია, რომელსაც გამარჯვებულ გუნდს გადასცემენ. ხელობა 1100 დოლარი დამჯდარა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ლელა ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი,
გიორგი ლარცხია, გიორგი ჭანტურიძე, სოსო ქიტოროშვილი,
ლადო ხოსიტაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge